ხელშეკრულება

თბილისი

12 დეკემბერი 2016წ.

შპს „დამბა“(ს/კ:40438465), რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის, ბ-ნ **გიორგი ჯაბიძის** სახით (შემდგომში - „დამკვეთი“) ერთის მხრივ,

და **შპს „ყვარელრემმშენი” (ს/კ:241563562),** რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის, ბ-ნ **გიორგი ჯოხარიძის** სახით (შემდგომში - „მენარდე“) მეორეს მხრივ,

ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებულნი, როგორც „მხარე” ან ერთობლივად როგორც, „მხარეები”, ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მენარდე ვალდებულია შეასრულოს დამკვეთის მიერ გადაცემული საპროექტო დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე(დანართი №1), ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში გათვალისწინებული სამუშაო (შემდგომში – სამუშაო) და ჩააბაროს მისი შედეგი დამკვეთს ეტაპობრივად გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით(დანართი№4), ხოლო დამკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.
1.2. მენარდე ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამუშაო: მეტროსადგურ "ახმეტელის თეატრის" სარეაბილიტაციო სამუშაოები (შესასრულებელი სამუშაოს დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად).
1.3 მენარდე ვალდებულია მომსახურების ღირებულება, შესრულებული სამუშაოს ღირებულების (523215.00ლარის) 6%-ი გადაუხადოს დამკვეთს ყოველი შესრულებიდან.

1.4. მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, თავის მუშახელით და ხელსაწყო იარაღებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯამური ღირებულება შეადგენს **523215.00 ლარი (ხუთასოცდასამიათასორასთხუთმეტი ლარი)**დღგ-ს ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ მენარდის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3 მენარდე დამკვეთს უხდის ხელშეკრულების ღირებულების (523215.00ლარის) -6%-ს.

მუხლი3. სამუშაოების შესრულების ვადა, ადგილი და პირობები

3.1 სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 220(ორასოცი) კალენდარული დღისა. ამასთან მენარდემ სამუშაოს შესრულება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3(სამი) კალენდარული დღის ვადაში.
3.2 სამუშაოს შსერულების ადგილია: -ქ.თბილისი, მეტროსადგურ "ახმეტელის თეატრი".

მუხლი.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მენარდის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დამკვეთი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.2 დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დამკვეთის ზედამხედველი ზოსიმე ყიფიანი. ასევე თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამშენებლო სამუშაოების მიმღები და სამშენებლო სამსახურის ხარისხის კონტროლის და მიღების ჯგუფის ინსპექტორი (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").
4.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
4.3.1გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის დაცვას;
4.3.2 დაადგინოს შესრულებული სამუშაოს ან/და მისი ნაწილის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
4.3.3 გააფორმოს მენარდესთან მირება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება.

მუხლი5. სამუშაოს საგარანტიო პირობები და ვადები

5.1 მენარდე იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ტექნიკურ დავალებას (დანართი №2).
5.2 საგარანტიო პირობები და ვადები განისაზღვრება დანართი№3-ის შესაბამისად.
5.3 მენარდე ვალდებულია დამკვეთის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
5.4 მენარდის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მენარდეს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება და გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მენარდისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.5 დამკვეთს უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული სამუშაოს მიღებაზე.

მუხლი6. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
6.2 შუალედური და/ან საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად , მენარდე ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ფორმა№2 და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის–შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი) მიწოდების დასრულების შემდეგ.
6.4 სამუშაოს მიღება და სამბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.
6.5 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ორგანოს დასკვნით/ანგარიშით (შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობის შესახებ) დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის საფუძველზე.
6.6 ექსპერტიზა განხორციელდება მენარდის მიერ (ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მენარდე).
6.7თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და თუ ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა№2-ის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15(თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70%-ისა.

4.2 დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დამკვეთის ზედამხედველი ზოსიმე ყიფიანი. ასევე თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამშენებლო სამუშაოების მიმღები და სამშენებლო სამსახურის ხარისხის კონტროლის და მიღების ჯგუფის ინსპექტორი (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").
4.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
4.3.1გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის დაცვას;
4.3.2 დაადგინოს შესრულებული სამუშაოს ან/და მისი ნაწილის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
4.3.3 გააფორმოს მენარდესთან მირება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება.

მუხლი5. სამუშაოს საგარანტიო პირობები და ვადები

5.1 მენარდე იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ტექნიკურ დავალებას (დანართი №2).
5.2 საგარანტიო პირობები და ვადები განისაზღვრება დანართი№3-ის შესაბამისად.
5.3 მენარდე ვალდებულია დამკვეთის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
5.4 მენარდის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მენარდეს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება და გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მენარდისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.5 დამკვეთს უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული სამუშაოს მიღებაზე.

მუხლი6. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
6.2 შუალედური და/ან საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად , მენარდე ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ფორმა№2 და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის–შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი) მიწოდების დასრულების შემდეგ.
6.4 სამუშაოს მიღება და სამბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.
6.5 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ორგანოს დასკვნით/ანგარიშით (შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობის შესახებ) დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის საფუძველზე.
6.6 ექსპერტიზა განხორციელდება მენარდის მიერ (ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მენარდე).
6.7თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და თუ ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა№2-ის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15(თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70%-ისა.

7.2 ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტი დამკვეთსა და მენარდეს შორის გაფორმდება ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.
7.3 მას შემდეგ რაც ტექ.ზედამხედველი/ინსპექტირების ჯგუფი დაადასტუებს და აცნობებს დამკვეთს სამუშაოების დასრულებას მენარდემ უნდა განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ან სხვა აკრედიტებულ ორგანოში და წარუდგინოს დამკვეთს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა/ინსპექტირების ანგარიში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობის შესახებ (პერიოდი რომელიც დასჭირდება მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესახებ შესაბამისობის ექსპერტიზის/ინსპექტირების განხორციელებაში , შედის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადებში).
7.4 ექსპერტიზა განხორციელდება მენარდის მიერ (ექპსერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მენარდე).
7.5 საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ორგანოს დასკვნით/ანგარიშით (შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობის შესახებ) დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულებისა. შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15(თხუთმეტი) სამუშაო დღისა.
7.6 დამკვეთი უფლებამოსილია , ხოლო მენარდე თანახმაა ხელშეკრულების 11.3 და 11.4 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მენარდეზე გადასარიცხი თანხიდან.
7.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მენარდე.

7.8 მენარდე დამკვეთს უხდის ხელშეკრულების ღირებულების 6%-ს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ყველა ეტაპზე ეტაპობრივად.
7.9 მენარდეს ასევე ეკისრება გადასახდელად ყველა ხარჯი, როგორიცაა ბანკის მომსახურების პროცენტი, გარაიცხვის საკომისიო და ასევე ობიექტზე სამეურნეო მატარებლით, ურიკებით პლატფორმებით და შრომითი რესურსებით სატრანსპორტო კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები (2016წლის 27 დეკემბრის ხელშ. 01/1-2/1-33).

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 დამკვეთი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს მენარდეს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესაბამისი მიზეზების მითითებით.
8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მენარდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4 მენარდემ სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.
8.5 სამუშაოების შერულების პერიოდში ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს "სატრანსპორტო კომპანიის" უფლებამოსილი პირი ან/და პირები და დამკვეთის ზედამხედველი. ტექნიკური ზედამხედველი უფლებამოსილია სარემონტო სამუშაოების შესრულების ნებისმიერ მომენტში შამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი და სამუშაოს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, დამკვეთი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

8.6 ტექნიკური ზედამხედველი აცნობებს დამკვეთს სამუშაოების დასრულების შესახებ.
8.7 იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის განხორციელების შედეგად აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებით განხორციელებული სამუშაოები შესრულებულია ხარვეზით, საჯარიმო სანქციების ათვლა განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადის დასრულების დღიდან.
8.8 მენარდე საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოსთან დაკავშირებით საჭირო წერილობით თანხმობას მშენებლობისა და სხვა სახის ნებართვებს მოიპოვებს საკუთარი ხარჯით. პერიოდი, რომელიც სჭირდება მენარდეს დოკუმენტების(წერილობითი თანხმობა, მშენებლობისა თუ სხვა სახის ნებართვები) ,მოპოვებისათვის, შედის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადებში.
8.9. მენარდე ვალდებულია:
8.9.1. შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით, დამკვეთის მიერ გადაცემული პროექტის ზედმიწევნით დაცვით;
8.9.2. შეასრულოს სამუშაო და გადასცეს დამკვეთს შესრულებული სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე ამ ხელშეკრულების 3 პუნქტში მითითებულ ვადაში.
8.9.3. დამკვეთის მოთხოვნით 10 კალენდარული დღის ვადაში უსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ სამუშაოს შესრულების პროცესში მენარდემ გადაუხვია ხელშეკრულების პირობებს, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.
8.9.4. პირადად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.
8.9.5. დროულად გააფრთხილოს დამკვეთი, რომ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხით და ვადებში.
8.9.6 განიხილოს "დამკვეთის" პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.
8.10 დამკვეთი ვალდებულია:
8.10.1. გადასცეს მენარდეს საპროექტო დოკუმენტაცია.
8.10.2. სამუშაოს დასრულების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ან ამ ხელშეკრულების 3. პუნქტში მითითებულ ვადის გასვლიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში დაათვალიეროს და მიიღოს შესრულებული სამუშაო, ხოლო ხელშეკრულებიდან გადახვევის ან სამუშაოს სხვა ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, რაც აუარესებს სამუშაოს შედეგს, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მენარდეს.
8.10.3. გადაიხადოს სამუშაოს საზღაური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
8.11. დამკვეთს უფლება აქვს:
8.11.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა და ხარისხი.
8.11.2. ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე ნებისმიერ დროს სამუშაოს დასრულებამდე და აუნაზღაუროს მენარდეს იმ მომენტისთვის შესრულებული სამუშაო.
8.11.3 მენარდისაგან მოითხოვოს სამუშაოს დამატებითი შესრულება, თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა.
8.11.4. ჩაიბაროს ნაკლის მქონე სამუშაო იმ პირობით, რომ შეამცირებს საზღაურს იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს სამუშაოს ღირებულებას.
8.11.5 მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შეუჩეროს "მენარდეს" დაფინანსება.

მუხლი9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა და დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის გაუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
10.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
10.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
10.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.2 დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ)თუ:
10.2.1 მენარდე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
10.2.2 მენარდე სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
10.2.3 მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
10.2.4 მენარდის გაკოტრების შემთხვევაში;
10.2.5 მენარდის საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
10.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
10.3 ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად შეწყვეტილად, თუ 11.3 და 11.4 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული და მენრდის მხრიდან აუნაზღაურებელი პირგასამტეხლოს ჯამური თანხა, გადააჭარბებს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის 95პროცენტს.

მუხლი11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შერულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
11.2. დამკვეთი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისთვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მენარდეს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.3 მენარდე პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევისთვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით დამკვეთს გადაუხადოს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.4 თუ მენარდე საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წარმოქმნილი დეფექტის გასწორებას 5.3 პუნქტის შესაბამისად დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით წარმოქმნილი დფექტის ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.6 მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებებლი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე

მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს. რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან მენარდის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები(დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.
12.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამ ოვერ ასრულებსხელშეკრულები გათვალისწინებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
12.4. ფორს-მაჟორული ან და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებიტ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.5 ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრლების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირბით ან/და ვადამდე შეწყვიონ ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულია მენარდის მხრიდან დეპოზიტით უზრუნველყოფილი თანხა ხელშეკრულების საბანკო გარანტიისათვის , მთლიანი სახლშეკრულებო თანხის 4.5 პროცენტის ოდენობით, რომლის ვადა (30ოცდაათი) დღით აღემატება სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადას.
13.2 დამკვეთის მიერ აღნიშნული საბანკო გარანტიისათვის დეპოზიტზე განთავსებული თანხის გამოყენების და დაბრუნების პირობები მოცემულია ხელშეკრულების 13.3 და 13.4 პუნქტებში.
13.3 დამკვეთი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში მიმართოს თიბისი ბანკს და მოითხოვოს საბანკო გარანტიით განსაზღვრულითანხის გადახდა თუ:
13.3.1 ხელშეკრულება შეწყდა 10.2 ან და 10.3 პუნქტების შესაბამისად;
13.3.2 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მენარდემ ვერ უზუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაზღვრული სამუშაოების შესრულება.
13.4 საბანკო გარანტიისათვის დეპოზიტზე განთავსებული თანხა მენარდეს დაუბრუნდება:
13.4.1 მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;
13.4.2 ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას, თუ ამ გარემოებების დადგომამდე, მენარდის მიერ სრულად არის შსრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა

14.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილორივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შდგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მუხლი16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (გარდა ამ ხელშეკრულების მე-5 და 11.4 პუნქტებისა).

16.2 ხელშეკრულების მე-5 და 11.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:	მენარდე:
შპს"დამბა"	შპს "ყვარელრემმშენი"
ს/კ:404384625	ს/კ:241563562
მის. მარჯანიშვილის ქ.16ა	მის. ყვარელი მათიკაშვილის ქ№20
თიბისი ბანკი	საქართველოს ბანკი
ა/ა: GE42 TB76 0893 6020 1000 01	ა/ა: GE45 BG0000 0001 5193 4301
დირექტორი:	დირექტორი:
/გიორგი ჯაბიძე/	/გიორგი ჯოხარიძე/